



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 82
 20/11/2017

82-07-4-201711201905



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №82
 2017 წლის 20 ნოემბერი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის
 არჩევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გა და წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ახალარჩეული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების არჩევის, პროცედურული საკითხების (ბიულეტენების მომზადების, დარიგების, ხმების დათვლის) და კენჭისყრის პროცესის ჩატარების მიზნით არჩეულ იქნეს ხმის დამთვლელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ვერიკო კვიციანი;
2. გიორგი გვარჯალაძე;
3. აკაკი იმნაიშვილი.

მუხლი 2. ხმის დამთვლელი დროებითი კომისია უფლებამოსილია მუდმივმოქმედი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის არჩევამდე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ამირან ქანთარია



საკრებულოს სხდომის უზუცესი წევრი
 საკრებულოს წევრები